მ. ნაგლაძე (2022 წ.)

# ლევონ ალაჰვერდიანი

მსახიობი ლევონ ალაჰვერდიანი დაიბადა თბილისში 1887 წელს თერძის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო ტფილისის „წმინდა გიორქის“ ტაძართან არსებულ სამრევლო სკოლაში, 1898 წელს შევიდა ნერსესიანის სახელობის სემინარიაში, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო სასწავლებელი მიატოვა და 1904 წელს მუშაობა დაიწყო რუსეთის სადაზღვევო საზოგადოებაში. ამ პერიოდში მუშაობასთან ერთად იგი გაიტაცა თეატრალურმა სფერომ და ავლაბრის - არაქსიანისა და მურაშკოს თეატრებში, აგრეთვე ავჭალის აუდიტორიაში (ამო ხარაზიანის ხელმძღვანელობით) მსახიობთა რიგებში ჩაეწერა.

1907-1908 წლის თეატრალურ სეზონში ლ. ალაჰვერდიანი თბილისის სომხური დრამატული საზოგადოების დასში მიიწვიეს. სწორედ ამ წლებიდან იწყება ლ. ალაჰვერდიანის არტისტული მოღვაწეობა. მისი მასწავლებლები იყვნენ სომხური თეატრის კორიფეები სირანუში და ოვანეს აბელიანი, რომლებთან ერთადაც თეატრალური წარმოდგენებით საგასტროლოდ იმყოფებოდა ამიერკავკასიასა და რუსეთის ქალაქებსა და სოფლებში, ირანსა და ოსმალეთის თითქმის ყველა კოლონიებში, სადაც სომეხი ერი იყო დასახლებული.

ლ. ალაჰვერდიანი 1924 წლიდან მუშაობა დაიწყო ბაქოს წითელდროშოვან სახელმწიფო სომხურ თეატრში, ხოლო 1933 წლიდან კი, სტეფანე შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხურ თეატრში.

გარდა სასცენო მოღვაწეობისა იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში. ხშირად გამოდიოდა მუშათა კლუბებში, კოლმეურნეობებში, როგორც კულტურული ფრონტის ერთ-ერთი საუკეთესო მუშაკთაგანი. სამამულო ომის დროს ლ. ალაჰვერდიანი ხშირად სტუმრობდა სამხედრო ჰოსპიტლებსა და საჯარისო ნაწილებს.

შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლის განმავლობაში, მსახიობს მრავალი საინტერესო როლი აქვს შესრულებული. მის მიერ განსახიერებული პერსონაჟებიდან აღსანიშნავია - ზიმზიმოვი და კაკული („პეპო“), ბრილიანტოვი („კიდევ ერთი მსხვერპლი“), ბარხუდარ, სერგეი-ბეგ („ნამუსი“), პაპა სიმონი („მწვერვალზე“), პროფესორი („ქალთა ქალაქი“), იაგო, ბრაბანციო („ოტელო“), მირზა („ჩამირული ქვები“), ონისე („ზვავი“) სულეიმანი, ანანია გლახა („ღალატი“) და სხვა.

ლ. ალაჰვერდიანს 1939 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის, ხოლო 1950 წელს კი საქართველოს სახალხო არტისტის წოდებები. მიღებული აქვს ქების სიგელები სხვადასხვა წლებში.

1958 წლის 28 აპრილს მსახიობს გადაუხადეს შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისა და დაბადებიდან 70 წლის იუბილე.

ლევონ ალაჰვედიანი 1963 წლის 11 იანვარს თბილისში გარდაიცვალა.

## ლევონ ალაჰვერდიანის პირადი საარქივო ფონდი

1. ლევონ ალაჰვერდიანის განცხადება საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს თავმჯდომარე ზ. გორდელაძისადმი, საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდების მინიჭების შესახებ.
   1936 წ. 20 ივნისი. თბილისი. ნაბეჭდი. ერთვის ფოტო. რუსულ ენაზე. 2 გვ.

2. ლევონ ალაჰვერდიანის განცხადება საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს თავმჯდომარე გოგუასადმი, საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდების მინიჭების შესახებ.
   1937 წ. 22 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ერთვის ფოტო. რუსულ ენაზე. 2 გვ.

3. ლევონ ალაჰვერდიანის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1939 წ. 20 ივნისი. თბილისი. ავტოგრაფი. სტამბური. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

4. ლევონ ალაჰვერდიანის განცხადება საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს რ. შადურისადმი, სასცენო მოღვაწეობის 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
   1946 წ. 14 თებერვალი. თბილისი. ნაბეჭდი. რეზოლუციით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

5. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობის მიმართვა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს რ. შადურისადმი, ლევონ ალაჰვერდიანის განცხადების გაგზავნასთან დაკავშირებით.
   1946 წ. 18 თებერვალი. ბლანკი. რეზოლუციით. ნაბეჭდი. 1 გვ.

6. ლევონ ალაჰვერდიანის განცხადება საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გ. სტურუასა და საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის მდივან ჩხუბიანიშვილისადმი, სასცენო მოღვაწეობის 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
   1946 წ. 20 თებერვალი. ნაბეჭდი. რეზოლუციით. 2 გვ.

7. საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის მიმართვა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსს რ. შადურისადმი, ლევონ ალაჰვერდიანის განცხადების გაგზავნის შესახებ.
   1946 წ. 21 თებერვალი. ბლანკი. ნაბეჭდი. რეზოლუციით. 1 გვ.

8. ლევონ ალაჰვერდიანის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1946 წ. 10 სექტემბერი. თბილისი. ავტოგრაფი. სტამბური. ბეჭედდასმული. ერთვის ფოტო. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

9. ლევონ ალაჰვერდიანის ცნობარი.
   1950 წ. 27 აპრილი. ავტოგრაფი. სტამბური. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

10. საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის მიერ გაცემული ლევონ ალაჰვერდიანის ცნობარი.
1956 წ. 19 იანვარი. თბილისი. ავტოგრაფი. სტამბური. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

11. ლევონ ალაჰვერიანის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1957 წ. 25 იანვარი. თბილისი. ავტოგრაფი. სტამბური. ერთვის ფოტო. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

12. საქართველოს კულტურის სამინისტროს ბრძანება ლევონ ალაჰვერდიანის 70 წლისთავთან დაკავშირებით, საიუბილეო კომისიის დამტკიცების შესახებ.
პირი: ვ. კუპრაშვილი, ი. მამიანი, ს. ავჩიანი, დავით ჩხეიძე, გრიგოლ ბუხნიკაშვილი, ვ. აირაპეტიანი, ა. ლუსინიანი, ვასო გოძიაშვილი, გ. აფხაიძე, ა. აბარიანი, პავლე კანდელაკი.
1958 წ. 15 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეწედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

13. ლევონ ალაჰვერდიანის დაბადებიდან 70 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით ჩატარებული საიუბილეო საღამოს პროგრამა. ერთვის მსახიობის ბიოგრაფია და შესრულებული როლების ჩამონათვალი.
1958 წ. 28 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და სომხურ ენებზე. 16 გვ.

14. საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის მიერ გაცემული ლევონ ალაჰვერდიანის ცნობარი.
1958 წ. 2 ოქტომბერი. თბილისი. ავტოგრაფი. ავტოგრაფი. სტამბური. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

15. საქართველოს კულტურის მინისტრ აკაკი დვალიშვილის მიერ გაცემული ბრძანება, ლევონ ალაჰვერდიანის დამკრძალავი კომისიის შექმნის შესახებ.
1963 წ. 16 იანვარი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

16. ლევონ ალაჰვერდიანის ავტობიოგრაფია. ერთვის შესრულებული როლების ჩამონათვალი.
უთარიღო. ნაბეჭდი. ერთვის ფოტო. რუსულ ენაზე. 4 გვ.

17. ლევონ ალაჰვერდიანის ავტობიოგრაფია. ერთვის შესრულებული როლების ჩამონათვალი.
უთარიღო. ნაბეჭდი. ერთვის ფოტო. 5 გვ.

18. ლევონ ალაჰვერდიანის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
უთარიღო. ავტოგრაფი. სტამბური. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

19. ლევონ ალაჰვერდიანის საკვალიფიკაციო ფურცელი.
უთარიღო. ავტოგრაფი. სტამბური. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

20. თბილისის სომხური თეატრის დირექციის მიერ გაცემული ლევონ ალაჯვერდიანის დახასიათება.
უთარიღო. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: თეატრის დირექტორი - ვ. ელიკბეკიანი, მთ. რეჟისორი - ფ. ბჟიკიანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.